№ 184. 18 სეკტემბერი, ოცვირა. 1866—1883 18 სეკტემბერი, ოცვირა. № 184.

დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპეკტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა	9 მან.	სამის თვისა	3 მან.
ექვსის თვისა	5 მან.	ერთის თვისა	1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ ნუნებს ავტორს.

ბოლოკე ნომერი «დროებისა» დგრს 5 კაპეიკი

ზამოდის უოველ დღე ორშაბათს ზარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეგანდელი ფელეტონი «კვირის საუბარი» ვერ იბეჭდება.

მაქვს პატივი გამოვუცხადო პატივცემულს ქართველთ საზოგადოებას, რომ მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პავლე აკურთხებს ქალაქს ბორში ახლად-აშენებულს ღვთის-მშობლის ოქონის ეკლესიასა 25 სექტემბერსა ამა 1883 წელსა.

ბლაგოჩინი მღვდელი მიხეილ ნასყიდოვი.

(6—3)

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

16 სექტემბერს.

პეტერბურგი. ზღვის სამინისტროს მმართველი სექტემბრის 20 რიცხვებში წავა ნიჟნი-ნოვგოროდში და იქიდამ ვოლგით ასტრახანში იმ აზრი, რომ ნახოს კასპიის, აზოვის და შავი ზღვის პორტები.

ტურგენიევის ცხედარს წამოიღებენ პარიკიდამ 19 სექტემბერს; გზაში ერთი კვირა დარჩება.

30 სექტემბერს სენატში დანიშნულია გასარჩევლად ფოსტის დეპარტამენტის დირექტორის პერფილიევის საქმე; გუშინ სენატის თავმჯდომარემ გასამტყუნებელი ოქმი ჩააბარა; ამტყუნებს ობერ-პროკურორის ამხანაგი პოსკოჩინი.

სახელმწიფო რჩევაში შეტანილი პროექტი მომატების პენსიების შესახებ ძლიერ შეიცვლება.

«პეტერბურგის ცეიტუნგი» გვაუწყებს, რომ ნოემბერში პეტერბურგში შეიკრიბებიან სამხედრო ოლქების უველა უფროსები.

სოფია. აქედამ წავიდენ გენერლები სობოლევი და კაულბარსი.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი სამ პროცენტამდინ დასწია.

ბოტენბურგი. დღეს დაბრუნდა ნორდენშილდის სამოქალაქო ექსპედიცია.

ბაქო. 15 სექტემბერს კეროსინის მექარხნეების კრება იყო, რომელზედაც წინადადება შეიტანეს შეჭკრან პირობა, რომ თვითეულმა მათგანმა იმაზე მეტი კეროსინი არ აკეთოს, რაც პირობით გადაკვეთილი იქნება და გადაჭრილ ფასად ჰყიდოს; იმ ფასს, რა ფასადაც ეხლა იყიდება კეროსინი, ფუთზე 20 კოპეიკი მოემატოს, რადგანაც ეს სამძიმოარ იქნება მყიდელთათვის.

ბირჟა

პეტერბერლი, 1883 წ.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — —	$23^{21}/_{32}$, $23^{11}/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — —	202, $202^{1}/_{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე — — —	250, $250^{1}/_{4}$
პოლუიმპერიალები — —	8 მ. 33 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები —	8 მ. 34 კ. გაუ.
ვერცხლის მანათი — —	1 მ. 38 კ. გაუ.
ბირუის დისკონტი — —	6 და 7%
5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. I გამოცემისა —	91 მ. 87 კ. გაუ.
5% ბილეთები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. II გამოცემისა — — —	91 მ. 87 კ. გაუ.
5% ბილეთები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. III გამოც.	91 მ. 87 კ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — —	214 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — —	205 მ. 87 კ. გაუ.
—	
რუსული ხორბალი, 10 ფუთი — — — —	$11^{1}/_{2}$—$11^{3}/_{4}$ მ.
ხორბალი საქსონკა უმაღლესის სორტისა, 10 ფუთი	$12^{1}/_{4}$—$12^{1}/_{2}$ მ.
ჭვავის პური, 9 ფუთი —	9 მ. გაუ.
შვრია, 6 ფუთი — —	4 მ. 85 კ. გაუ.
ქერი, 8 ფუთი — —	8 მ. 25 კ. გაუ.
ფქვილი ჭვავის პურისა, მოსკოვისა, 9 ფუთი —	9 მ. 30 გაუ.
კეროსინი ამერიკისა —	2 მ. 70 კ. გაუ.
კეროსინი რუსული — —	1 მ. 30 კ. გაუ.
ქონი ყვითელი, სანთლისა, 1-ლი სორტი — —	72—73 მ. გაუ.
ქონი საპნისა — — —	არ არის.
ერბო ძროხისა, ციმბირისა	11 მ. გაუ.
სპილენძი ფურცლობით, ფუთი — — — —	იგივე.
რკინა ფურცლობით, ფუთი	3 მ. 70 კ. გაუ.
ძროხის ტყავები დამარილებული, ფუთი — —	14 მან. გაუ.
ძროხის ტყავები ამერიკისა, ფუთი — — — —	$5^{1}/_{4}$ მ. გაუ.
სპირტი ოსტზეისა 40%, ვედრო — — — —	88 კ. გაუ.
შაქარი რაფინადი 1-ლის სორტისა, ფუთი — —	$8^{1}/_{2}$ მ. გაუ.
შაქარი რაფინადი, მე 2 სორტისა, ფუთი — —	არ არის.
ფხვნილი შაქარი — —	6 მან. 90 კ. გაუ.
ბოტკაში, 10 ფუთი —	27 მან. გაუ.

თბილისი, 17 სექტემბერს.

უმთავრესი სალაპარაკო გაზეთებისა ამ კვირია არის ბულგარია და ეს არც გასაკვირველია: მთელი ევროპა ორს ბანაკად იყოფება და ამ ბანაკებათ დაყოფაში თვით უმცირესს სახელმწიფოებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ, ე. ი. იმ ვულკანზედ მოქცეულან, რომელზედაც აღმოსავლეთის საქმე იბადება ხოლმე. ოსმალეთი თან-და-თან სუსტდება, ყველანი გრძნობენ, რომ ამ ავადმყოფს დიდი დღე აღარა აქვს და თითქმის ყველა მოზრდილი სახელმწიფონი ცდილობენ ამ ქვეყნის სამკვიდრებელში საუკეთესო ლუკმა ჩაიგდონ; და, რასაკვირველია, იმ სახელმწიფოს უფრო გაუადვილდება დიდი ლუკმის ხელში მოგდება, რომელსაც ოსმალეთის შეზობლად მყოფთა წვრილთა სახელმწიფოთა გული მოგებული ექმნება. ამ მხრივ საკვირველად უნდა მიაჩნდეს ევროპის პოლიტიკის მოქმედება. ბისმარკს თავის მოქმედება. მან არამცთუ ავსტრია სულითა და ხორცით შეიერთა, არამცთუ იტალია მიიმხრო და ესპანიის მიმხრობასაც ცდილობს, არამცთუ საფრანგეთსა და ინგლისს შორის შურს ჰბადავს ჩინეთის თაობაზედ და ამით საფრანგეთს სხვაგან უჩენს მტერს და ბერმანიის საზღვრებს ამორებს; არამედ თავის ბადეში მოიგდო თვით პატარა სერბია და რუმინია და როგორც უკანასკნელი ტელეგრამები გვაცნობებენ, ბულგარიაშიაც ისეთი ამბები მომხდარა, რომელნიც აშკარად ამტკიცებენ, რომ ეს სახელმწიფოც ავსტრიასა და გერმანიას მკერდზედ მიყრდნობია.

ბულგარიის განთავისუფლების დროს ბელის ოუსეთის შვილის სისხლი დაიღვარა და რა გასაკვირველია, რომ როდესაც ბულგარიის მთავრობამ რუსის გენერლები დაითხოვა და ლიბერალი ცანკოვი მინისტრების პრეზიდენტად დანიშნა, — პეტერბურგის ოფიციალურმა გაზეთმა მწარე საყვედური გამოსთქვა და ბოლმა-მორეული ამბობდა: «თითონ მთავარმა და მისთა მრჩეველთა აგონ პასუხი თავიანთ მოქმედებისათვისაო».

არა სანატრელს სურათს წარმოადგენს ეხლა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კი გერმანიასთან უთანხმოებას ასტეხავს. თითქმის მთელი ევროპა ეხლა ბისმარკის თვალის დახახამებას უცქერის და მისი მოსისხლე მტერი—საფრანგეთი კი სხვა-დასხვა ტონკინ-ჩინეთებშია გართული. ოსმალეთიც თუმცა ყოყმანობს, მაგრამ ამასაც ბისმარკის კალთა უჭირავს და ბულგარიის მთავარმაც ჯერედ მისგან განდევნილი ცანკოვი პირველ კაცად დანიშნა თავის სახელმწიფოში, ოღონდ ამით ბისმარკისათვის ესიამოვნებინა და მის მტერთათვის შეურაცხება მიეყენებინა.

შინაური ქრონიკა

ჩვენ შეკითხეთ, რომ მთავარმმართებლის რჩევა წევრის ბ. ბეშჩევისათვის მიუნდვიათ რევიზია თბილისის გუბერნიის გამგეობისა (губернское правленіе) და საზოგადოდ პოლიციისა.

15 სექტემბერს საღამოს ცხრა საათზედ მოვიდა ჩვენს ქალაქში დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე; დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მობძანდება თბილისში 25 ამ თვეს, დასწრება ჯარების გასინჯვაზე და დაუოკვნებლივ წაბძანდება ყარაბაღში სანადროდ.

ორშაბათის სხდომაზედ ჩვენის ქალაქის საბჭოს შემდეგი გადაწყვეტილება დაუდგენია შესახებ იმ საბრალო საობლო სასამართლოსი, რომელსაც ამ ზაფხულს ტეტლმა რეკიზია უყო და რომელიც, თითქმის, ოთხელ საშუალებს მოკლებული დასტოვა. საობლო სასამართლოში დაწესდეს საქმის მწარმოებელის ადგილი და ჯამაგირი დანიშნოს წელიწადში ორასი თუმანი; რაკი საქმის მწარმოებელი დანიშნება, ამ სასამართლოს თავმჯდომარეს მოეცეს ჯამაგირი, რადგან ის ამ ჯამაგირს საქმის წარმოებაში იღებდა; საქმის მწარმოებელი ამორჩეულ იქმნას ერთის წლით იმ კანდიდატებში, რომელთაც ქალაქის გამგეობა წარმოადგენს; ამორჩეულ საქმის მწარმოებლისა მოხდეს მაშინ, როცა გუბერნატორი ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს და მისცეს შემწეობა საობლო სასამართლოს ქალაქისაგან 700 მანათი და სადგურისათვის 300 მან.

ჩვენ მოგვიგიდა მეექვსე (ივნისის) წიგნი ქართულის ბიბლიოთეკისა. შინაარსი: I ქალების პორტრეტები, ეკ. გაბაშვილისა, II არა, არ არის დანაშაული რომანი ეტტი პირსისა, თარგმანი ანნა მესსისა (შემდეგი), III აკლდამები, მოთხრობა ეკეკანია ტურისა (შემდეგი). ნათ. ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალებისა.

«კავკაზი» გვაცნობებს, რომ ალაურ მასწავლებელს ბ. გულაკს გადაუთარგმნია თითქმის სრულიად «ვეფხვის ტყაოსანი» რუსულს ენაზედ პროზად. ბ. გულაკი ამ საგნის შესახებ რამდენიმე ლექციის წაკითხვას აპირობს თურმე.

არც რაჭა ჩამორჩომილა უკან სხვა იმერეთის მხარეებს; იქაც სამის სექტემბრიდამ დაწყობილა ბუგეულის ინარმარკა, რომელზედაც საკმაო ხალხი შეკრებილა, მაგრამ ვაჭრობა კი მცირე ყოფილა უფულობის მიზეზით.

პირველში თუმცა მშვიდობიანობა სუფევდა თურმე, მაგრამ 5-ს სექტემბერს საღამოზედ კი ერთი საშინელი ამბავი მომხდარა: თურმე ერთად ქეიფობდენ ურიადნიკი ქალბაქინი, რომელსაც ინარმარკაზედ მშვიდობიანობის დაცვა ჰქონდა მინდობილი, ერთი წულუკიძე, ჯაფარიძე და ორი ძმა ყიფიანები. დილიდგან საღამომდე ესვათ და საღამოზედ ქალბაქიანსა და წულუკიძეს ჩხუბი მოსულოდათ. შეიქმნა თურმე ხანჯლებისა და ხმლების ტრიალი ზედ შუაგულს ხიდზედ

და სატოდავს მურთაზალ ჯაფარიძეს ძაფვიეი კისერი გაუგდებინეს. დამნაშავენი ჯერ არ არიან დაჭერილნი. ვერც იარადის აურა გაუბედეს; ეხლა რა ზომა მიიღებენ, არ ვიცით.

—

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ №-ᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲢ ᲕᲘᲡᲬᲝᲠᲔᲑᲗ: ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲡᲣᲚᲮᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲣᲕᲜᲘᲚᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲨᲘ, ᲡᲬᲣᲠᲘᲐ: ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲣᲤᲝᲠᲝᲑᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ: ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲣᲤᲣᲚᲝᲑᲐ. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ: «ᲨᲐᲒᲗᲣᲚᲡ ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲣᲥᲡᲗᲐ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ ᲮᲛᲐᲖᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲨᲘᲜ ᲮᲛᲔᲑᲘ», ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ: ᲨᲐᲒᲗᲣᲚᲡ ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲣᲥᲡᲗᲐ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ ᲖᲛᲐᲖᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲨᲘᲜ ᲖᲛᲔᲑᲘ.

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

ᲖᲐᲤᲮᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ.

1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲚᲔ თავი შეგვაძულა წლევანდელმა ზაფხულმა. თავადი თუ გლეხი, მღვდელი თუ ერი, სულ ამას გაძახის—«ღმერთო, ამისთანა ზაფხულს ნულარ გვაჩვენებო». მართლაც, არა სანატრელი ზაფხული იყო წელს სილნაღის მაზრაში. მთელს ზაფხულს სულ სამჯერ იყო წვიმა სილნაღის მაზრაში, ისიც მსუბუქად: ერთი თებათვის უკანასკნელ რიცხვებში, მეორე ავგისტოს პირველ რიცხვებში და მესამეც ავგისტოს 30-ს. აბა, წარმოიდგინეთ, მკითხველნო, რა პირს მოსწმენდდა ესრედ ნაკლები წვიმები მოსავალს სილნაღის მაზრაში, სადაც შავი ნიადაგის სიჭარბისაგან ყოველ კვირას რომ ორჯერ-სამჯერ მოდიოდეს წვიმა არ მოსჭარბდება, ნამეტნავად იმ ნაწილში, რომელსაც ქიზიყსა და უკანა-მხარს უწოდებენ. დედა-მიწას ცეცხლი მოედო, დაიწვა აქაურობა! აბ გვალვის ბრალი იყო, რომ მშვენიერი მოსავალი მიწისა, რომელმაც გაზაფხულზედ იმედები გაულვიძა მიწის მშრომელთ, უდროოდ აიწვა, ცალკე გუდა-ფშუტად გარდაიქცა, ცალკე აიშრიტა და ამ ნაირად გაუბარაქოდა მთელი წლის მოსავალი, როგორც შემოდგომისა, ეგრეთვე გაზაფხულისა. ძნად ბლომად მოვიდა, გამოსავალი კი ხორბლად არა ჰქონდა. დიდი ხანია მკალეწვა გათავდა. დაბინავა კიდეც ზოგიერთმა მეათედი იმ გამოსავლისა, რომელსაც მოელოდა, ზოგისა კი მოვალეებმა დაიტაცეს. ბუთნებიც გაიტანეს და ჰხნამენ.

სილნაღის მაზრაში ჩვეულებათა აქვთ: ყანას რომ მომკიან, ნამჯობებს ცეცხლს უკიდებენ და სწვენ, რომ მეორედაც კარგი მოსავალი მოიყვანოს. გატრუსულ ნამჯობს ანეულის მნიშვნელობას აძლევენ მიწის მშრომელნი. ამ ჩვეულებას, რასაკვირველია, წელსაც მისდიეს და ამან დიდი ზარალი მოუტანა, როგორც ხალხს, ეგრეთვე პირუტყვ-ოთხფეხს. წაიკიდეს ცეცხლი ნამჯობებს, მაგრამ ცეცხლი ნამჯობებს არ დასჯერდა; მოეკიდა ბალახსაც და დაიწვა მინდვრები ᲬᲘᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲨᲘ და ᲣᲙᲐᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲨᲘ; ᲣᲙᲐᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ძნები და თივებიც ბევრი დაიწვა. ძნები დაიწვა სულ უსაქონლო ხალხისა. ᲐᲠᲐ-ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ სურათს წარმოადგენს ამ ქამად ᲬᲘᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲘ ᲣᲙᲐᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲘᲗᲘᲗᲠᲗ: მომეტებული ნაწილი მინდვრებისა დაფარულია თეთრად გამხმარი ბალახით, რომელიც ისე მოკლეა, რომ ოთხფეხი ვერც კი მოჭკიდებს პირს; დანარჩენი ნაწილი მინდვრებისა შავად მოჩანს—არსად არა სჩანს ნიმანი სიმწვანისა, მხოლოდ ტყეებს კი ადევთ მწვანე ფერი, მაგრამ სიყვითლე ჭარბობს. ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲡ სხმით ძალიან ასხია—ნამეტნავად იქ, სადაც სეტყვა არ მოჰხვდა, მაგრამ რა გამოვიდა: ᲑᲒᲐᲚᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲒᲐᲜ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲖᲔᲑᲘ გადახმა, ნამეტნავად ᲕᲔᲚᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔᲨᲘ. ᲡᲐᲪᲐ არ გახმა და აქვს ისევ სინედლე, ისეთი ყურძენი ასხია, რომ კრიკინაში ვერ გამოარჩევთ. ᲐᲑᲐ რა გამოსავალი უნდა ჰქონდეს ამისთანა ყურძენს? ᲗᲣᲛᲪᲐ ღვინოები კარგები დადგება, მაგრამ ეს ვაჭრებისთვის იქნება სასარგებლო და არა ვენახის პატრონებისთვის, რადგანაც ვაჭრები იმავე ფასად გამოიტანენ ღვინოს ვენახების პატრონებისაგან, რა ფასათაც კარგ მოსავალში ყიდულობენ. ᲗᲣᲛᲪᲐ წინადვე იწერებოდნენ ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ კარგი პურისა და ღვინის მოსავლის იმედს, მაგრამ ის იმედი ჩვენის თავის მოტყუება გამოდგა. ᲐᲘ ამისთვის აქეთ მიღებული გამოცდილ სახლის-პატრონებს: «სანამ პურს ორმოში არ ჩაჭყრი და ღვინოს ქვევრში არ ჩაასხამ, მინამ ნუ იტყვი, რომ ამდენ-ამდენი მამივიდაო».

«ᲮᲐᲚᲮᲡ კიდეე არაფერი გვიშავს: როგორც იქნება გავატარებთ ამ უმადურ წელიწადს»—ამბობენ მიწის მშრომელნი—«ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ (ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲔᲡ) რა უყოთ, როგორ გავატარებინოთ ეს წელიწადი»? მართლაც და ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლებს საქონლის პატრონი, გაატარებინოს ზამთარი ხრიოკ მინდვრებზედ. ᲔᲮᲚᲐᲕᲔ აქმევენ ზოგიერთები გუთნის ხარს თივას,—აბა რაღას აქმევს ზამთარში, როდესაც შემოდგომაზედვე გამოელევათ.

ᲡᲐᲜᲣᲒᲔᲨᲝ კიდეე ის არის, რომ ამისთანა ზაფხულში ავად-მყოფობა არ იყო სილნაღის მაზრაში, თუმცა ხოლერის გაჩენასაც კი მოელოდა ხალხი, რასაც სოფლების ქუჩების და ნამეტნავად დუქნების ეზოების უსუფთაობა ხელს უწყობდა. არ ვიცით, რა იქნება მაშინ, როცა აცივდება.

ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲡ მადლით ამოიკვეთა. ᲣᲙᲐᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ქურდობის ხსენებაც აღარ არის და წინად კი ყოველ-დღიური მოვლენა იყო; მაგრამ ᲭᲙᲣᲐ-ᲨᲔᲛᲚᲘᲚᲔᲑᲛᲐ გაგვიჭირეს საქმე. რამდენიმე გიჟი დადის ტყეებში, ვენახებში, აშინებენ ხალხს და ყურადღებას კი არავინ აქცევს.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

Ბ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

სხვა-და-სხვა ხმების გავრცელება, მე და კეზელის შესახებ, მაიძულებს თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვა ამ ხმების უსაფუძვლობა.

Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲛᲐ «ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» 137 №-ᲨᲘ, რედაქციის სახელით ისეთი სისაძაგლე ჩაიდინა, რომ ნებაუნებლივ მისის ავტორის სახელის გამოცხადება საჭიროდ დავინახე ამისგამო. «ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» 169 №-ᲨᲘ დავაბეჭდვინებ Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲡ, რომ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ მის კალამს, რომ მის დაწერაში Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲘᲡ მეტს არავის მონაწილეობა არ მიეღო.

ᲛᲔ ვფიქრობდი, რომ თვით ავტორისაგან სახელის გამოცხადება სრულიად საკმარისი იქნებოდა და სიბრალულიკ ნებას არ მაძლევდა «ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» თანამშრომელის სამარცხვინო მოქმედება საქვეყნოდ მომეტებულად გამომეაშკარავებინა.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲘᲡ რედაქციიდგან დათხოვნა ზოგიერთებისაგან ისე ჩაითვალა, რომ ეს პირი ვითომც ინტრიგების მსხვერპლი შეიქმნა. მე არა მსურს, რომ კეზელის რედაქციიდგან განშორებას მე მაბრალებდენ, თუმცა იმასთან ერთად თანამშრომლობას ჩემთვის სათაკილოდ ჩავსთვლიდი. ᲩᲐᲕᲡᲗᲕᲚᲘᲓᲘ მისთვის, რომ Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲛᲐ გახსნა ჩემი წერილი რომელიც Ბ. ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელით რედაქციაში იყო მოსული და პატრონის დაუკითხავად დაბეჭდა. Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲛᲐ ამ წერილში მოიყვანა ჩემი ტელეგრამის მაგივრად თავისგან შეთხზული ტელეგრამა და მით მოიწადინა ჩემდა შეურაცხყობობის მოყენება.

ᲛᲔ წინათვე ამის გამოცხადება მინდოდა, მაგრამ შემბრალდა Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲘ და გადავწყვიტე გავჩუმებულიყავი, მაგრამ ეხლა, როდესაც ისეთი ხმა ვრცელდება. «ᲙᲔᲖᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐᲝ», ᲡᲬᲝᲠᲔ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ ᲒᲐᲩᲣᲛᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ, მით უფრო, რომ ამ ხმების მოსპობას არა ცდილობს თვით ამ საქმეების მომქმედი და გამოსალმების წერილში აცხადებს, რომ რედაქციას ხმები ვერ შეეაწყეო და იმისთვის ვანებებ თავსაო!

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, რომ ხმებს ვერ შეაწყობდა, რადგანაც რედაქციაში არც ერთი კაცი არ მოიპოვება, რომელმაც სხვის წერილების გახსნა და ტელეგრამის თავის შეთხზულის ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ შეცვლა გაამართლოს.

Ა. ᲛᲝᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

—

— ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ თავისგან შეთხზული ტელეგრამა და მით მოიწადინა ჩემდა შეურაცხყობობის მოყენება.

ᲛᲔ წინათვე ამის გამოცხადება მინდოდა, მაგრამ შემბრალდა Ბ. ᲙᲔᲖᲔᲚᲘ და გადავწყვიტე გავჩუმებულიყავი, მაგრამ ეხლა, როდესაც ისეთი ხმა ვრცელდება. «ᲙᲔᲖᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐᲝ», ᲡᲬᲝᲠᲔ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ ᲒᲐᲩᲣᲛᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ, მით უფრო, რომ ამ ხმების მოსპობას არა ცდილობს თვით ამ საქმეების მომქმედი და გამოსალმების წერილში აცხადებს, რომ რედაქციას ხმები ვერ შეეაწყეო და იმისთვის ვანებებ თავსაო!

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, რომ ხმებს ვერ შეაწყობდა, რადგანაც რედაქციაში არც ერთი კაცი არ მოიპოვება, რომელმაც სხვის წერილების გახსნა და ტელეგრამის თავის შეთხზულის ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ შეცვლა გაამართლოს.

Ა. ᲛᲝᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘᲫᲔ.

—

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

—

— ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐᲪ ᲒᲕᲪᲜᲝᲑᲐ, ᲒᲚᲐᲓᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲤᲠᲔᲓᲔᲜᲑᲝᲠᲒᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲬᲔᲠᲔᲜ და ამტკიცებენ, რომ გლადსტონმა მხოლოდ გაისეირა შესასვენებლად. და ბაბის შესაქცევლად და არაკაცობა. ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ არ ყოფილა ის ფრედენსბორგში, მაგრამ გერმანიის მწერლობა, განსაკუთრებით თავადი ბისმარკის ორგანი, სრულიად სხვას ჰფიქრობენ და ამტკიცებენ, რომ გლადსტონის ფრედენსბორგში მისვლა ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ არის მიმართულია. ᲑᲣᲠᲚᲘᲜᲔᲑᲨᲘ ნაკლებ არც კენელები შეუშფოთებია გლადსტონის იქ ყოფასა, რადგანაც ის ცნობილია, როგორ ძლიერი მოწინააღმდეგე ავსტრი-ვენგრიის პოლიტიკისა ბალკანის ნახევარ-კუნძულზე.

— როგორც გაზეთებიდამ ვიცით, იმ ჯარის ნაწილები, რომელნიც გერმანიის აღმოსავლეთის სამზღვარზე სდგანან, ამას წინად იმპერატორის განკარგულებით უფრო გაძლიერეს; ეხლა იწერებიან, რომ გერმანიელნი ამას არ დასჯერებიან და ოსტრიელების ფლოტის გაძლიერებაც გადუწყვეტიათ. ამბობენ, ეს ფლოტი იქამდინ ძლიერი შეექმნებაო, რომ რომელს ოსტრიის სასელმწიფოსაც გინდა შეებრძოლება ზღვაშიო და შეეძლება რუსეთის მხრივ ზარბაზნები არ დაუშინოს გერმანიის პორტებისთვისაო.

— ᲔᲣᲜᲘᲓᲒᲐᲜ იწერებიან, რომ ჰერცეგოვინაში კიდევ დაწყვეთ მოძრაობა. ამას წინად ერთი ჩუმის გაზეთი იწერებოდა, რომ ავსტრიის ჯარებსა და ახლად აჯანყებულებთ შორის შეტაკება მოხდაო, მაგრამ ოფიციოზურმა გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ ტყუილია ეს ამბავიო.

— ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ მოწერილი ცნობებიდგან სჩანს, რომ ამ თვის 18-ს გაზეთებში გამოუცხადებიათ აპლიკაციის სასამართლოს 197 პრეზიდენტის სამსახურიდგან დათხოვნა 30 აგვისტოს 1883 წ. დადგენილი კანონის ძალით.

— როგორც ᲙᲢᲣᲝᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ არა ფიქრობენ დაცხრომას. კანტონში საქმე უწინდებულად არის თურმე აწყლილი; ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ გაუგზავნიათ იქ სამი ასალი ბატარა სამარი გემი (канонирка), ეხლა იმათ აქვსთ შვიდი გემი, რომელნიც ინგლისის და საფრანგეთის ამგვარსავე გემებთან ახლო თურმე დგანან. კედლებზედ გაუკრავთ წერილები, რომლებითაც ევროპიელებს საგუთრების ადგილებს ეკრძალებიან.

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲘᲓᲒᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲘᲗ იწერებიან, რომ იქ გაუხსნიათ ბიურო იმ ამერიკელების ჩასაწერად, რომელნიც ჩინეთის სამსახურში შესვლას ისურვებენ, თუ ჩინეთს და საფრანგეთს შუა ომი მოხდა.

— ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲘᲓᲒᲐᲜ იწერებიან, ეითომც ცანკოვი აცხადებდეს თავის მანიფესტში, რომ სამთავროში წესი მინამდინ არ დამყარდება, მინამ ბულგარიას აღმოსავლეთი რუმელია არ შეეერთდებაო. იმავე ცნობით, სოფიაში აღმოუჩენიათ შეთქმულობა სობოლევის და კაულბარსის წინააღმდეგ.

Дозв. цензур Тифлисъ, 17 Сентября 1883 г. ᲥᲐ. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ. (Типографія Е. Хеладзе.) ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ Ბ. ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ.